



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N21**

ქ. ლანჩხუთი

31. 10. 2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვლადიმერ ნანაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი :

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M1, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვლადიმერ ნანაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ მან აღნიშნა, რომ ცვლილება არის ტექნიკური ხასიათის, რომლის მიხედვითაც „გამგეობი“-ს და „გამგებელი“-ს ნაცვლად ჩაიწერება „მერია“ და „მერი“.

საკრებულოს წევრის, **ამირან გიგინეიშვილის** თქმით, პროექტში უნდა ჩაიწეროს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრება“, კოდექსში მითითებულია „დასახლება“. ამასთან, ფიზიკურად შეუძლებელია მუნიციპალიტეტის საერთო კრების ჩატარება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** აღნიშნა, რომ შენიშვნა მიღებულია და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს შენიშვნის გათვალისწინებით.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N57 (31.10.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ეწერა „მოადგილე/მოადგილეები“, მაგრამ კანონის მიხედვით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ეკუთვნის ერთი მოადგილე. აქედან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და საკრებულოს რეგლამენტში ჩაიწეროს „მოადგილე“.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N58 (31.10.2018)

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M1, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში ხორციელდება ცვლილება,

რომლის მიხედვითაც „გამგეობა“ და „გამგებელი“ უნდა შეიცვალოს „მერია“ და „მერი“-თ. აქედან, გამომდინარე, საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრის, **ელისო ჭიჭინაძის** თქმით, ერთი წელია მიმდინარეობს ეს პროცესი. დეპუტატი დაინტერესდა, იმ დოკუმენტაციას, რომელშიც აქამდე არ იყო შეტანილი აღნიშნული ცვლილება, ვინ აწერდა ხელს - მერი თუ გამგებელი.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შევიდა ცვლილება და რადგან იგი წარმოადგენს მთავარ კანონს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს კოდექსის მიხედვით. მისი თქმით, დოკუმენტაციებში აღნიშნული ცვლილების შეტანა ხდება ეტაპობრივად, რადგან ფიზიკურად შეუძლებელია მისი ერთბაშად განხორციელება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N97 (31.10.2018)**

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საქმე ეხება გამოთხოვნილ დოკუმენტაციას, რომელიც არის სამსახურებრივი და წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, გამოთხოვნის შემთხვევაში იგი შეიძლება მიეწოდოს ნებისმიერ მოქალაქეს. მიუხედავად ამისა, დეპუტატის თქმით, ჯერ კიდევ მარტის, მაისის და ა. შ. თვეებში გამოთხოვნილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით არანაირი პასუხი არ გაცემულა. გარდა ამისა, მან საკრებულოს გასულ სხდომებზე დასვა საკითხი, მიეწოდებინათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დაზიანდა სტიქიის შედეგად და რა სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ პასუხი დღემდე არ არის გაცემული.

საკრებულოს წევრმა **ამირან ქანთარია** წარმოადგინა ე.წ. აიდი ბარათის ასლი, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2017 წელს გაიცა 1994 წელს ჩინეთში დაბადებულ ვეი სიონგის სახელზე და მოქმედების ვადა აქვს 2022 წლამდე. დოკუმენტში წერია, რომ ეს არის დროებითი პირადობის მოწმობა. დეპუტატი დაინტერესდა, როგორ გაიარა ამ პიროვნებამ ის პროცედურები, რათა მიეღო ასეთი სახის დოკუმენტი. საქართველოს მოქალაქეს უცხოეთში ამ კუთხით ათასი პრობლემა შეექმნებოდა, საქართველოში კი უცხოელებისთვის ყველაფერი მარტივადაა. მან მოითხოვა, რომ იურისტმა განმარტოს, თუ რა ტენდენციაა ეს და როგორ ხდება შესაბამისი

პროცედურების გავლა, ასე ადვილად რომ ღებულობენ ჩინეთის მოქალაქეები აიდი ბარათებს. მისი თქმით, ის შეიძლება ყველაზე დემოკრატიული პიროვნება იყოს, მაგრამ აღნიშნული პრობლემა ყველას ძალიან აწუხებს.

საკრებულოს წევრები **დავით ჩხარტიშვილი** და **აკაკი იმნაიშვილი** ასევე დაეთანხმნენ კოლეგას და აღნიშნეს, რომ უცხო ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე მართლაც ძალიან მარტივად ჩამოდის და ხდება საქართველოს მოქალაქე. ამას გარდა, დაინტერესდნენ და მოითხოვეს ახსნა-განმარტება, თუ როგორ ხდება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის და რა პროცედურების გავლაა ამისთვის საჭირო.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი** აღნიშნა, რომ ასე მარტივადაც არ ხდება ასეთი დოკუმენტის გაცემა. მისი განმარტებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე განცხადებით მიმართავს სამოქალაქო რეესტრს, გაივლის აუცილებელ პროცედურებს, რის შემდეგაც ეძლევა დროებითი ბინადრობის მოწმობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის საქართველოს მოქალაქეა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილემ, **ციცინო ჩხაიძის** თქმით, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქე განცხადებით მიმართავს სამოქალაქო რეესტრს. მას ეძლევა საბუთი, რომ აღნიშნული საკითხი განიხილება და მითითებულია გარკვეული პერიოდი. ამის შემდეგ მოქალაქეს იბარებენ გასაუბრებაზე და თუ კი პიროვნება აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს, ეძლევა დროებითი ბინადრობის მოწმობა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** ასევე უკმაყოფილება გამოთქვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქართველოს მოქალაქეს სხვა ქვეყანაში ანალოგიური საბუთის მისაღებად თითქმის ათი წლის ლოდინი ესაჭიროება, მაშინ როცა საქართველოში უცხო ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქეზე მარტივად ხდება ასეთი მოწმობის გაცემა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ვლადიმერ ნანაძე



სხდომის თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო